


ნიშნების გამოსახულებითი  
ელექტრონული სართაშორისო  
კლასიფიკაცია

(ვენის კლასიფიკაცია)  
მიმღები რაღაპცია



WIPO  
WORLD  
INTELLECTUAL PROPERTY  
ORGANIZATION



საქართველოს ინტელექტუალური  
საკუთრების ეროვნული უფლები  
საქართველო



# ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაცია

(ვენის კლასიფიკაცია)

მიმღები რედაქცია



საქართველოს ინტელექტუალური  
საკუთრების ინიციატივის სამსახური  
საქართველო

ვენის კლასიფიკაციის წინამდებარე მექვსე რედაქცია წარმოადგენს ისმო-ს მიერ ინგლისურ ენაზე ოფიციალურად გამოცემული კლასიფიკაციის ავთენტიურ თარგმანს.

თარგმანი მომზადებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქართვენტის“ თანამშრომლების მიერ.

მთარგმნელთა ჯგუფი: თ. ქავთარაძე - ხელმძღვანელი  
ლ. დგებუაძე  
გ. კვიმსაძე

რედაქტორი: მ. ტაბიძე

ყველა უფლება დაცულია. საავტორო უფლებების მფლობელთა ნებართვის გარეშე, დაუშვებელია მოცემული გამოქვეყნების რომელიმე ნაწილის გადატება ნებისმიერი საშუალებით (ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირება, ჩაწერა და სხვ.).

© ისმო, 2007 (ინგლისურ ენაზე)  
© საქართველო, 2011 (ქართულ ენაზე)

ISBN 978-9941-0-2823-6

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებულ შეთანხმებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ნიშანთა გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის შექმნის შესახებ ვენის შეთანხმება, რომელსაც ხელი მოეწერა ქალაქ ვენაში 1973 წელს გამართულ დიპლომატიურ კონფერენციაზე. შეთანხმების თანახმად, მონაწილე სახელმწიფოთა უწყებები ვალდებული არიან ოფიციალურ დოკუმენტებსა და პებლიკაციებში გამოსახულებითი ელემენტების შემცველ ნიშნებს მიეთითონ კლასიფიკაციის შესაბამისი კატეგორიები, განყოფილებები და სექციები.

2011 წლისათვის შეთანხმებაში მონაწილეობს 29 ქვეყანა, თუმცა ვენის კლასიფიკაციას იყენებს მრავალი ქვეყნის სამრეწველო საკუთრების უწყება, ისმოს საერთაშორისო ბიურო, აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (OAPI), ბენელუქსის სასაქონლო ნიშნების უწყება (BOIP) და შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყება (OHIM). საქართველო, ისევე როგორც ბევრი სხვა შეთანხმების არაწევრი ქვეყნის უწყება, წარმატებით იყენებს ვენის კლასიფიკაციას, რომლის საფუძველზეც სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზაში ხორციელდება საქართველოში სარეგისტრაციო მიღებული გამოსახულებითი ელემენტების შემცველი ნიშნების კლასიფიკაცია და ძიება იდენტურობასა და მსგავსებაზე.

ამჟამად მოქმედი კლასიფიკაციის მექანიზმი რედაქცია, რომელიც ძალაშია 2008 წლის 1 იანვრიდან, შეიცავს 29 კატეგორიას, 144 განყოფილებას და 1887 სექციას.

წინამდებარე კლასიფიკაციის მექანიზმი რედაქციის ქართული თარგმანი შესრულებულია საქართველოს თანამშრომლების მიერ. მისი გამოცემა დაეხმარება როგორც საქართველოს ექსპერტებსა და პატენტორენებულებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს საქართველოს ვებგვერდზე განთავსებულ მონაცემთა ბაზაში გამოსახულებითი ელემენტების შემცველი ნიშნების მოძიებაში.

ვინაიდან კლასიფიკაციის ქართულ ენაზე თარგმნის პირველი მცდელობა არ შეიძლება დაზღვეული იყოს ხარვეზებისაგან, მათლიერებით მივიღებთ ყველა შენიშვნასა და კეთილ რჩევას.

ირაკლი ლვალაძე  
საქართველოს ინტელექტუალური საუთობას ეროვნული  
ცანის „საქართველოს“ თავმჯდომარე

ინ. ლვალაძე

## შინაარსი

წინასიტყვაობა ..... (v)

ვენის შეთანხმება

სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების  
საერთაშორისო კლასიფიკაციის დადგენის შესახებ ..... (ix)

ვენის კლასიფიკაციის გამოყენებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები ..... (xx)

ვენის კლასიფიკაცია:

სახელმძღვანელო მომხმარებლებისთვის ..... 1

კატეგორიათა ცხრილი ..... 2

კატეგორიებისა და განყოფილებების ცხრილი განმარტებითი შენიშვნებით ..... 3

კატეგორიების, განყოფილებებისა და სექციების  
ჩამონათვალი განმარტებითი შენიშვნებით ..... 13

ზოგადი მითითებები ..... 14

ზოგიერთი კატეგორიის შესაბამისი გამოსახულებითი  
ელემენტების ნიმუშები ..... 103

\*

\*

\*

# 6061ს კლასიფიკაციის მოთხოვნი

## ვენის კლასიფიკაციის მიზანი

პარიზის კავშირის წევრი ქვეყნების სამრეწველო საკუთრების უწყებათა მოთხოვნით ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) წინამორბედმა ორგანიზაციამ – ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ბიურომ (BIRPI) – 1967 წელს დაიწყო მუშაობა BIRPI -ის კავშირთაშორისი საკონფიდენციალურო კომიტეტის მიერ შექმნილ ექსპერტთა კომისიასთან ერთად სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის პროექტის შექმნაზე. კლასიფიკაცია დადგენილ იქნა ვენის დიპლომატიურ კონფერენციაზე 1973 წლის 12 ივნისს დადგენილი შეთანხმების მიერ.

სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის დადგენის შესახებ ვენის შეთანხმების (შემდგომში – „კლასიფიკაცია“ და „ვენის შეთანხმება“ შესაბამისად) მონაწილე ქვეყნებმა მოიწონეს ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საყოველთაო კლასიფიკაცია და იყენებენ მას.

ვენის შეთანხმება ძალაში შევიდა 1985 წლის 9 აგვისტოს. 2009 წლის 1 იანვრისთვის მისი მონაწილე ქვეყნებია:

- |                |                  |                         |
|----------------|------------------|-------------------------|
| 1. სომხეთი     | 10. სლოვენია     | 19. მოლდოვას რესპუბლიკა |
| 2. ავსტრია     | 11. თურქეთი      | 20. ბევერია             |
| 3. ბულგარეთი   | 12. თურქმენეთი   | 21. ტრინიდადი და ტობაგო |
| 4. ხორვატია    | 13. კუბა         | 22. ტენისი              |
| 5. იამარიკა    | 14. საფრანგეთი   | 23. თურქეთი             |
| 6. ყირგიზეთი   | 15. გვინეა       | 24. იორდანია            |
| 7. მექსიკა     | 16. ლუქსემბურგი  | 25. მალაიზია            |
| 8. რუმინეთი    | 17. ნიდერლანდები | 26. სერბია              |
| 9. სანქა ლუჩია | 18. ჰოლონეთი     | 27. უკრაინა             |

## ვენის კლასიფიკაციის დანიშნულება და გამოყენების ფარგლები

კლასიფიკაციის ძირითადი დანიშნულებაა სასაქონლო ნიშნების მსგავსებაზე ძიების ამოცანის გაიოლება და ნიშნების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მასალების საერთაშორისო დონეზე მიმოცვლის დროს ხელახალი კლასიფიკირების თავიდან აცილება. გარდა ამისა, ვენის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებისთვის არ არის აუცილებელი საკუთარი ეროვნული კლასიფიკაციის შექმნა ან უკვე არსებულის განახლება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით.

ვენის შეთანხმების მე-4 მუხლი ითვალისწინებს, რომ თავად შეთანხმების მიმართ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის მოქმედების ფარგლებს განსაზღვრავს სპეციალური კავშირის თითოეული ქვეყანა და, რომ კლასიფიკაცია არ ზღუდავს ამ ქვეყნებს სასაქონლო ნიშნის დაცვის ფარგლების განსაზღვრაში; ამრიგად, ვენის შეთანხმებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული შედეგების გარდა, ამ ქვეყნებიდან ნებისმიერს შეუძლია კლასიფიკაციის სამართლებრივი ჩარჩოები თვითონ დაადგინოს.

## **ვენის კლასიფიკაციის სტრუქტურა**

კლასიფიკაცია წარმოადგენს ზოგადიდან კერძოს კერძოს დალაგებულ იერარქიული სტრუქტურის მქონე სისტემას, სატაც ყველა გამოსახულებითი ელემენტი განაწილებულია კატეგორიებში, განყოფილებებსა და სექციებში. ამასთან საჭიროების შემთხვევაში თანცართულია განმარტებითი შენიშვნები. ისინი შეიძლება ეხებოდეს მთლიანად კლასიფიკაციას, ან მის რომელიმე მოცემულ კატეგორიას, განყოფილებას ან სექციას.

სექციები ორი სახისაა. ძირითადი სექციების გარდა არსებობს დამხმარე სექციები. ისინი გამიზნებულია ისეთი გამოსახულებითი ელემენტებისათვის, რომლებიც უკვე განაწილებულია ძირითად სექციებში, მაგრამ წინასწარი ძიების შედეგების ოპტიმიზაციის მიზნით სასარგებლოდ მიიჩნევა განსაკუთრებული მახასიათებლების მიხედვით მათი განაწილება კი-დევ უფრო ვიწრო ჯგუფებში.

ყოველ კატეგორიას, განყოფილებასა და სექციას მინიჭებული აქვს რიცხვითი კოდი სპეციალური კოდირების სისტემის მიხედვით. სექციაში მოთავსებული ყოველი გამოსახულებითი ელემენტი აღინიშნება სამი რიცხვით, რომელთაგან: პირველის შესაძლო მნიშვნელობა მოთავსებულია 1-დან 29-მდე და იგი აღნიშნავს კატეგორიას; მეორე, რომლის შესაძლო მნიშვნელობა მოთავსეულია 1-დან 19-მდე, აღნიშნავს განყოფილებას და მესამე, რომლის შესაძლო მნიშვნელობა მოთავსებულია 1-დან 26-მდე, აღნიშნავს სექციას. მაგალითად, სურათი, რომელზედაც გამოსახულია „პატარა გოგონა, რომელიც საჭმელს მიირთმევს”, ასე აღინიშნება: კატეგორია 2 (ადამიანები), განყოფილება 5 (ბავშვები), ძირითადი სექცია 3 (გოგონები) და დამხმარე სექცია 18 (ბავშვები), რომლებიც მიირთმევენ საჭმელს ან სასმელს).

განყოფილებებისა და სექციების რაოდენობა იცვლება იმ კატეგორიებისა და განყოფილების მიხედვით, რომელთაც ისინი მიეკუთვნება. ზოგიერთ განყოფილებასა და სექციაში რიცხვითი კოდები გამოტოვებულია, რათა კლასიფიკაციის განახლების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ახალი განყოფილებების ან სექციების ჩამატება.

წინამდებარე ტომი წარმოადგენს კლასიფიკაციის მექანიზმებს რედაქციას, რომელიც მთლიანობაში მოიცავს:

- 29 კატეგორიას,
- 144 განყოფილებას,
- 788 ძირითად სექციასა და
- 879 დამხმარე სექციას.

105-119 ვერდებზე წარმოადგენილი ზოგიერთი კატეგორიის შესაბამისი გამოსახულებითი ელემენტების მაგალითები თანცართულია მხოლოდ საილუსტრაციოდ და ამდენად კლასიფიკაციის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს.

## **ვენის კლასიფიკაციის გამოყენება**

ვენის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს უფლება აქვთ გამოიყენონ კლასიფიკაცია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სისტემის სახით. ამგვარად, მათ შეუძლიათ გააგრძელონ, თუ ეს მათთვის ხელსაყრელია, თავიანთი ეროვნული კლასიფიკაციის გამოყენება ვენის კლასიფიკაციასთან ერთად, როგორც გარდამავალ, ისე მუდმივ საშუალებად.

ვენის შეთანხმების მონაწილე ქვეყნების კომპეტენტური უწყებები ვალდებული არიან ნიშნების რეგისტრაციასთან და განახლებასთან დაკავშირებულ ოფიციალურ საბუთებსა და გამოცემებში შეიტანონ იმ კატეგორიების, განყოფილებებისა და სექციების შესაბამისი რიცხ-

ვითი კოდები, რომლებშიც ამ ნიშნების გამოსახულებითი ელემენტებია განთავსებული. „საბუთებსა“ და „გამოცემებში“, კერძოდ, იგულისხმება რეესტრის ჩანაწერები, რეგისტრაციისა და განახლების მოწმობები და ოფიციალურ ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებული რეგისტრაციები და განახლებები.

ნიშნების რეგისტრაციებთან დაკავშირებული ოფიციალურ საბუთებსა და გამოცემებში მითითებული კატეგორიების, განყოფილებებისა და სექციების შესაბამის რიცხვითი კოდებს წინ უნდა უძლოდეს მთლიანი დასახელება „Classification of Figurative Elements“ („გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია“) ან აბრევიატურა „CFE“ (იხ. გვ.(xx)); სასურველია აბრევიატურის შემდეგ მრგვალ ფრჩხილებში მითითებული იყოს ვენის კლასიფიკაციის იმ გამოცემის ნომერი არაბული ციფრით, რომლის მიხედვითაც ეს აღწერებია შესრულებული, მაგალითად „CFE“ (6).

კლასიფიკაციის სექციების მიხედვით გამოსახულებები საკმარისად ვიწრო ჯეფებად იყოთა, რაც სამრეწველო საკუთრების დიდი უწყებების შემთხვევაშიც კი აიოლებს წინასწარ ძიებას. სექციაში თავს იყრის მსგავსების თვალსაზრისით ერთმანეთთან საკმარისად ახლოს მდგომი გამოსახულებითი ელემენტები; სამრეწველო საკუთრების პატარა უწყებებისთვის კი, რომლებიც ნიშნების შედარებით მცირე რაოდენობას არეგისტრირებენ, წინასწარი ძიებისთვის კლასიფიკაციის სექციების გამოყენება შესაძლოა, არც იყოს საჭირო. ამის გამო ვენის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ განაცხადონ, რომ ისინი იტოვებენ უფლებას ნიშნების რეგისტრაციასთან და განახლებებთან დაკავშირებულ ოფიციალურ საბუთებსა და გამოცემებში არ შეიტანონ ყველა სექციის ან მათი ნაწილის შესაბამისი რიცხვითი კოდები (ვენის შეთანხმების 4(5) მუხლი); ხოლო, „დამხმარე“ სექციები, რომელთა რიცხვით კოდებს წინ ერთვის „A“, საერთოდ არ არის სავალდებულო. ეროვნულ უწყებებს მათი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება თვითონ შეუძლიათ.

## ვენის კლასიფიკაციის გადასინავა

კლასიფიკაციის წინამდებარე გამოცემა ეფუძნება კლასიფიკაციას, რომელიც 1973 წლის 12 ივნისს ვენის დიპლომატიურ კონფერენციაზე იქნა მიღებული.

ვენის შეთანხმების ძალაში შესვლის მოსამზადებელ პერიოდში კლასიფიკაციის საწყისი რედაქციის შესწორებებისა და დამატებების შესახებ წინადადებების მოსამზადებლად 1975 და 1976 წლებში შეიკრიბა ექსპერტთა დროებითი კომისია, რომელიც შექმნილი იყო 1973 წლის 8 ივნისის ვენის დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის შესაბამისად. კლასიფიკაციის საწყის რედაქციაში შეტანის შემდეგ ეს წინადადებები 1977 წელს გამოქვეყნდა წინასწარ გამოცემაში.

ვენის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ ამ შეთანხმების მე-5 მუხლის თანახმად შექმნილმა ექსპერტთა კომისიამ თავის პირველ სესიაზე, რომელიც შეიკრიბა 1987 წლის მაისში, უენევაში, მოიწონა ექსპერტთა დროებითი კომისიის მიერ შეთავაზებული შესწორებებისა და დამატებების უმეტესობა. ხოლო მის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სესიებზე, რომლებიც გაიმართა უენევაში შესაბამისად 1992 წლის ივნისში, 1996 წლის ოქტომბერში, 2001 წლის ოქტომბერსა და 2006 წლის ნოემბერში, ექსპერტთა კომისიამ მიიღო რიგი შესწორებისა და დამატებისა. შესაბამისი ცვლილებები შეტანილი იქნა კლასიფიკაციაში.

მესამე სესიაზე, რომელიც გაიმართა უენევაში 1996 წლის ოქტომბერში, ექსპერტთა კომისიამ შემოიტო კლასიფიკაციის განახლებული ფორმა, რომლის შესაბამისად განყოფილებაში შემავალი ძირითადი სექციების დამხმარე სექციები სათანადო დასათაურებით გამოყოფილი სახით განთავსდა შესაბამისი განყოფილების ბოლოს და დამხმარე სექციების მქონე ძირითადი სექციები მოინიშნა ვარსკვლავით „\*\*“.

## **ვენის კლასიფიკაციის გამოცემაზი**

ვენის კლასიფიკაციის პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1973 წელს, მეორე-1988 წელს, მესამე-1993 წელს, მეოთხე-1997 წელს და მეხუთე-2002 წელს.

ეს გამოცემა გამოქვეყნდა 2007 წლის ივნისში და ძალაში შევიდა 2008 წლის ივნისში. მან შეცვალა აღრინდელი გამოცემები.

## **ვენის კლასიფიკაციის ენაზი**

კლასიფიკაციის ტექსტი დაფგენილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია.

\* \* \*

ვენის კლასიფიკაციის ამ მეექვსე გამოცემის შექმნა შესაძლებელია მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციისაგან, მისამართი: 34, chemin des Colombettes, P.O. Box 18, CH-1211 Geneva 20 ან ისმო-ს წიგნების ელექტრონული მაღაზიიდან ვებგვერდზე, მისამართი: <http://www.wipo.int/ebookshop>

ჟენევა 2007, ივნისი

**სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი კლამანტების**

**საერთაშორისო კლასიფიკაციის დამდგენი**

**3 0 6 0 ს შ ი თ ა ნ ხ მ ე ბ ა ნ**

მიღებულია ვენაში 1973 წლის 12 ივნისს  
და შესწორებულია 1985 წლის 1 ოქტომბერს

**შ ი ნ ა რ ს ი \***

- მუხლი 1. სპეციალური კავშირის დაარსება; საერთაშორისო კლასიფიკაციის მიღება
- მუხლი 2. გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის განსაზღვრება და დეპონირება
- მუხლი 3. გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის ენები
- მუხლი 4. გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის გამოყენება
- მუხლი 5. ექსპერტთა კომიტეტი
- მუხლი 6. შესწორებების, დამატებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შეტყობინება, ძალაში შესვლა და გამოქვეყნება
- მუხლი 7. სპეციალური კავშირის ასამბლეა
- მუხლი 8. საერთაშორისო ბიურო
- მუხლი 9.
- მუხლი 10. შეთანხმების გადასინჯვა
- მუხლი 11. შეთანხმების ზოგიერთი დებულების შესწორება
- მუხლი 12. შეთანხმების მხარეთ გახდომა
- მუხლი 13. შეთანხმების ძალაში შესვლა
- მუხლი 14. შეთანხმების მოქმედების ვადა
- მუხლი 15. დენონსაცია
- მუხლი 16. დავები
- მუხლი 17. ხელმოწერა, ენები, დეპოზიტარის ფუნქციები, შეტყობინებები

\* შინაარსი დამატებულია ტექსტით სარგებლობის გაიოლების მიზნით. ხელმოწერილ ტექსტში იგი არ არის

მონაწილე მხარეები, ითვალისწინებენ რა 1900 წლის 14 დეკემბერს ბრიუსელში, 1911 წლის 2 ივნისს ვაშინგტონში, 1925 წლის 6 ნოემბერს ჰავაზში, 1934 წლის 2 ივნისს ლონდონში, 1958 წლის 31 ოქტომბერს ლისაბონში და 1967 წლის 14 ივლისს სტოკოლმში გადასინჯული 1883 წლის 20 მარტს მიღებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-19 მუხლს, თანხმდებიან შემდეგზე:

## მუხლი 1

### სპეციალური კავშირის დაარსება; საერთაშორისო კლასიფიკაციის მიღება

ქვეყნები, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს შეთანხმება, ქმნიან სპეციალურ კავშირს და ნიშნების გამოსახულებითი ელემენტებისათვის ღებულობენ ერთიან კლასიფიკაციას (შემდგომში – „გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია“).

## მუხლი 2

### გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის განსაზღვრება და დეპონირება

- (1) გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია შეიცავს კატეგორიების, განყოფილებებისა და სექციების ჩამონათვალს, რომლებშიც კლასიფიკირებულია ნიშნების გამოსახულებითი ელემენტები, საჭირო შემთხვევებში განმარტებითი შენიშვნების თანხლებით.
- (2) ინგლისურ და ფრანგულ ენებზე შედგენილი გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია მოთავსებულია ერთ ავთენტიკურ ეგზემპლარში, რომელიც ხელმოწერილია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის (შემდგომში – „ორგანიზაცია“ და „გენერალური დირექტორი“ შესაბამისად) მიერ და დეპონირებულია მასთანვე, ვიდრე იგი ღია ხელმოსაწერად.
- (3) ინგლისურ და ფრანგულ ენებზე შედგენილი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მითითებულია 5(3)(i) მუხლში, ასევე თავსდება ერთ ავთენტიკურ ეგზემპლარში, რომელსაც ხელს აწერს გენერალური დირექტორი და დეპონირებისათვის ბარიება მასვე.

## მუხლი 3

### გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის ენები

- (1) გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია შედგენილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ენაზე ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია.
- (2) გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის ოფიციალურ ტექსტებს სხვა ენებზე, რომლებიც შეიძლება განსაზღვროს მე-7 მუხლში მითითებულმა სპეციალური კავშირის ასამბლეამ იმავე მუხლის (2)(a)(vi) პუნქტის შესაბამისად, ადგენს ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო (შემდგომში, „საერთაშორისო ბიურო“) დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციების შემდეგ.

## მუხლი 4

### გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკირების გამოყენება

- (1) შეთანხმებით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკირების მოქმედების ფარგლები ისეთია, როგორიც მიეკუთვნება მას სპეციალური კავშირის თითოეული ქვეყანის მიერ. კერძოდ, გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია არ ზღუდვას სპეციალური კავშირის ქვეყნებს სასაქონლო ნიშნის დაცვის ფარგლების განსაზღვრაში.
- (2) სპეციალური კავშირის თითოეული ქვეყნის კომპეტენტურ უწყებას უფლება აქვს გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია ძირითად ან დამხმარე სისტემად გამოიყენოს.
- (3) სპეციალური კავშირის ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებს ნიშნების რეგისტრაციებისა და რეგისტრაციის გაგრძელებებთან დაკავშირებულ ოფიციალურ საბუთებსა და გამოცემებში შეაქვთ იმ კატეგორიების, განყოფილებებისა და სექციების შესაბამისი რიცხვითი კოდები, რომლებსაც მიეკუთვნება ამ ნიშნების გამოსახულებითი ელემენტები.
- (4) ზემოთ აღნიშნულ რიცხვით კოდებს წინ ერთვის სიტყვები „გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია“ ან მისი აბრევიატურა, რომელიც განისაზღვრება მე-5 მუხლში მითითებულ ექსპერტთა კომიტეტის მიერ.
- (5) შეთანხმებაზე ხელმოწერისას ან რატიფიკირების ან მიერთების შესახებ დოკუმენტის დეპონირებისას ნებისმიერ ქვეყანას უფლება აქვს განაცხადოს, რომ არ იღებს ნიშნების რეგისტრაციებსა და რეგისტრაციის გაგრძელებებთან დაკავშირებულ ოფიციალურ საბუთებსა და გამოცემებში ყველა სექციის ან სექციების ნაწილის რიცხვითი კოდების განთავსების ვალიდებულებას.
- (6) იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალური კავშირის რომელიმე ქვეყანა ნიშნების რეგისტრაციას მიანდობს სამთავრობათაშორისო უწყებას, მან ყველა შესაძლო საშუალებით უნდა უზრუნველყოს აღნიშნული უწყების მიერ გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკირების გამოიყენება ამ მუხლის შესაბამისად.

## მუხლი 5

### ექსპერტთა კომიტეტი

- (1) იქმნება ექსპერტთა კომიტეტი, რომელშიც სპეციალური კავშირის ყოველი ქვეყანა არის წარმოდგენილი.
- (2) (a) გენერალურ დირექტორს შეუძლია, და, თუ ექსპერტთა კომიტეტის მიერ მოითხოვება, დამკვირებლების სახით ექსპერტთა კომიტეტის სხდომებზე მოიწვიოს სპეციალური კავშირის არაზევრი ქვეყნები, რომლებიც ორგანიზაციის წევრებს ან სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მხარეებს წარმოადგენს.
- (b) გენერალური დირექტორი იწვევს სასაქონლო ნიშნების სფეროში სპეციალიზებულ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა წევრი ერთი ქვეყანა მაინც არის ამ შეთანხმების მხარე, რათა დამკვირებლის სახით იქნენ წარმოდგენილნი ექსპერტთა კომიტეტის სხდომებზე.
- (c) გენერალურ დირექტორს შეუძლია, და, თუ ექსპერტთა კომიტეტის მიერ მოითხოვება, იწვევს სხვა სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მათთვის საინტერესო საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

(3) ექსპერტთა კომიტეტი:

(i) იღებს გადაწყვეტილებებს გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციაში შესწორებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

(ii) სპეციალური კავშირის ქვეყნებს უგზავნის რეკომენდაციებს კლასიფიკაციით სარგებლობის გაადვილებისა და მისი ერთნაირად გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.

(iii) იღებს ყველა სხვა ზომას, რომლიც ხელს უწყობს განვითარებადი ქვეყნების მიერ კლასიფიკაციის გამოყენების გაადვილებას და არ მოითხოვს სპეციალური კავშირის ან ორგანიზაციის ბიუჯეტის ფინანსურ ხარჯებს.

(iv) უფლებამოსილია ჩამოაყალიბოს ქვეყომიტებები და მუშა ჯგუფები.

(4) ექსპერტთა კომიტეტი ღებულობს პროცედურის საკუთარ წესებს. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ექსპერტთა კომიტეტის მუშა ჯგუფებსა და ქვეყომიტებების სხდომებზე 2(b) პუნქტი მითითებულ იმ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობას, რომლებსაც არსებითი წვლილის შეტანა შეუძლიათ გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის სრულყოფაში.

(5) წინადადებები გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციაში შესწორებების შეტანისა და დამატებების შესახებ შეიძლება წარადგინოს სპეციალური კავშირის ნებისმიერი ქვეყნის კომპეტენტურმა უწყებამ, საერთაშორისო ბიურომ, ნებისმიერმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც წარმოდგენილია ექსპერტთა კომიტეტში (2)(b) პუნქტის შესაბამისად და ასეთი წინადადებების განსახილველად წარმოდგენის მიზნით ექსპერტთა კომიტეტის მიერ სპეციალურად მოწვეულმა ნებისმიერმა ქვეყანამ ან ორგანიზაციამ. წინადადებები ეგზავნება საერთაშორისო ბიუროს, რომლებიც განსახილველად წარედგენება ექსპერტთა კომიტეტის წევრებსა და დამკაირებლებს არაა ყველა ორი თვით აფრე ექსპერტთა კომიტეტის სესიის დაწყებამდე, რომელზედაც უნდა განიხილონ აღნიშნული წინადადებები.

(6) (a) ექსპერტთა კომიტეტის თითოეულ ქვეყანას აქვს ერთი ხმა.

(b) ექსპერტთა კომიტეტის გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე და კენჭისყრიაში მონაწილე ქვეყნების ხმათა მარტივი უმრავლესობა;

(c) ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე ქვეყნების რაოდენობის ერთი მეხუთედის მიერ ჩაითვლება გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის ძირითადი სტრუქტურის ცვლილების ან კლასიფიკაციის მნიშვნელოვანი ნაწილის განახლების საფუძვლად, მოითხოვს დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე ქვეყნების ხმათა სამ მეოთხეცს.

(d) ხმის მიცემისაგან თავის შექავება კენჭისყრაში მონაწილეობად არ ითვლება.

## მუხლი 6

**შესწორებების, დამატებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შეტყობინება, ძალაში შესვლა და გამოქვეყნება**

(1) გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციაში შესწორებებისა და დამატებების შეტანისთვის დაკავშირებული ექსპერტთა კომიტეტის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება და ექსპერტთა კომიტეტის რეკომენდაციები საერთაშორისო ბიუროს მიერ ეცნობება სპეციალური კავშირის ქვეყნების კომპეტენტურ უწყებებს. შესწორებები და დამატებები ძალაში შედის შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

(2) ძალაში შესული შესწორებები და დამატებები საერთაშორისო ბიუროს შეაქვს კლა-

სიფრიკაციაში. ინფორმაცია ამ ცვლილებების შესახებ ქვეყნდება იმ პერიოდულ გამოცემებში, რომლებსაც განსაზღვრავს მე-7 მუხლში მითითებული ასამბლეა.

## მუხლი 7

### სპეციალური კავშირის ასამბლეა

(1) (a) სპეციალურ კავშირის გააჩნია ასამბლეა, რომელიც შედგება სპეციალური კავშირის ქვეყნებისგან.

(b) ყოველი ქვეყნის მთავრობა წარმოდგენილია ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩევლები და ექსპერტები.

(c) ნებისმიერ სამთავრობათა შორისო ორგანიზაციას, რომელიც მითითებულია 5(2) (b) მუხლში, შეუძლია წარმოდგენილი იყოს დამკვირვებლის სახით ასამბლეის სხდომებზე და, თუ ასამბლეა გადაწყვეტს, ასამბლეის მიერ შექმნილ კომიტეტებსა და მუშა ჯგუფებში.

(d) თითოეული დელეგაციის ხარჯებს გაიღებს მთავრობა, რომელმაც ის დანიშნა.

(2) (a) მე-5 მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, ასამბლეა:

(i) განიხილავს ყველა საკითხს, რომელიც ეხება სპეციალური კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებას და ამ შეთანხმების განხორციელებას;

(ii) საერთაშორისო ბიუროს ადლევს მითითებებს კლასიფიკაციის გადასინჯვის მიზნით მოსაწვევი კონფერენციების მომზადების თაობაზე;

(iii) განიხილავს და ამტკიცებს გენერალური დირექტორის ანგარიშებსა და საქმიანობას, რომლებიც ეხება სპეციალურ კავშირის და ადლევს მას ყველა აუცილებელ ინსტრუქციას სპეციალური კავშირის კომიტეტის შემავალ საკითხებზე;

(iv) ალგენს სპეციალური კავშირის პროგრამას. ილებს ორნლიან ბიუჯეტს და ამტკიცებს მის საბოლოო ანგარიშებს;

(v) ილებს სპეციალური კავშირის ფინანსურ რეგლამენტს;

(vi) ილებს გადაწყვეტილებას გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის ოფიციალური ტექსტებისთვის ინგლისურისა და ფრანგულის გარდა სხვა ენების დაფგენის შესახებ;

(vii) ქმნის ისეთ კომიტეტსა და მუშა ჯგუფებს, როგორისაც საჭიროდ ჩათვლის სპეციალური კავშირის მიზნების მისაღწევად;

(viii) განსაზღვრავს, სპეციალური კავშირის რომელი არაწერი ქვეყანა და რომელი სამთავრობათა შორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია დაიშვება (1)(c) პუნქტის თანახმად დამკვირვებლად მის სხდომებზე, და მის მიერ შექმნილ რაიმე კომიტეტსა და მუშა ჯგუფში;

(ix) ახორციელებს ნებისმიერ სხვა სათანადო ქმედებას, მიმართულს სპეციალური კავშირის მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად.

(x) ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციას, რომელიც შეესაბამება ამ შეთანხმებას.

(b) გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც ასევე არის ორგანიზაციის მიერ აღმინისტრირებადი სხვა კავშირების დაინტერესების საგანიც, ასამბლეას გამოაქვს ორგანიზაციის საკონტრინაციო კომიტეტის რჩევების მოსმენის შემდეგ.

(3) (a) ასამბლეის თითოეულ წევრ ქვეყანას გააჩნია ერთი ხმის უფლება.

(b) ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ნახევარი შეადგენს კვორუმს.

(c) მიუხედავად (b) ქვეპუნქტის დებულებისა, თუ რომელიმე სესიაზე წარმოდგენილი ქვეყნების რიცხვი ნაკლებია საერთო რაოდენობის ნახევარზე, მაგრამ ჭოლია ან მეტია ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის ერთ მესამედზე, ასამბლეას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, მაგრამ ყველა ასეთი გადაწყვეტილება, გარდა მის საკუთარ პროცედურებთან დაკავშირებულისა, ძალაში შედის ქვემოთ მოყვანილი პირობის შესრულების შემთხვევაში. საერთაშორისო ბიურო უგზავნის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებს ასამბლეის წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ იყვნენ წარმოდგენილი სესიაზე, და სთავაზობს მათ შეტყობინების მათთვის გაგზავნის თარიღიდან სამი თვის ვადაში წერილობით გამოხატონ, ეთანხმებიან გადაწყვეტილებას, ეწინააღმდეგებიან მას თუ თავს იყავებენ. თუ ამ ვადის გასვლის მომენტისათვის იმ წევრთა რაოდენობა, რომელთაც ამ სახით მისცეს ან არ მისცეს ხმა, ან თავი შეიკავეს, არ იქნება ნაკლები წევრთა იმ რაოდენობაზე, რომელიც დააკლდა კვორუმს სესიაზე, ასეთი გადაწყვეტილება შედის ძალაში იმ პირობით, თუ ამასთანავე საჭირო უმრავლესობა მიღწეულია.

(d) ასამბლეის გადაწყვეტილების მისაღებად 11(2) მუხლის გათვალისწინებით საჭიროა მიცემელ ხმათა ორი მესამედი.

(e) ხმის მიცემისაგან თავის შექავება კუნძულის მონაწილეობად არ ითვლება.

(f) დელეგატს შეუძლია წარმოადგინოს და ხმა მისცეს მხოლოდ ერთი ქვეყნის სახელით.

(4) (a) ასამბლეა გენერალური დირექტორის მოწვევით იქნიბება რიგით სესიაზე ყოველ მეორე კალენდარულ წელს ერთხელ და, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, იმავე დროსა და ადგილზე, როდესაც და სადაც იქნიბება ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

(b) საგანგებო სესიაზე ასამბლეა იქნიბება გენერალური დირექტორის მოწვევით ასამბლეის წევრი ქვეყნების ერთი მეოთხედის მოთხოვნის საფუძველზე.

(c) ყოველი სესიის დღის წესრიგი მზადდება გენერალური დირექტორის მიერ.

(5) ასამბლეა იღებს პროცედურის საკუთარ წესებს.

## მუხლი 8

### საერთაშორისო ბიურო

(1) (a) სპეციალური კავშირის ადმინისტრაციული საქმიანობა ხორციელდება საერთაშორისო ბიუროს მიერ.

(b) საერთაშორისო ბიურო, ყერძოდ, ამზადებს სხდომებს და სამდივნოს სამსახურით უზრუნველყოფს ასამბლეას, ექსპერტთა კომიტეტსა და სხვა ისეთ კომიტეტებსა და მეშა აგუფებს, რომელთა შექმნაც შეუძლია ექსპერტთა კომიტეტს.

(c) გენერალური დირექტორი არის სპეციალური კავშირის მთავარი აღმასრულებელი პირი და წარმოადგენს სპეციალურ კავშირს.

(2) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული ნებისმიერი თანამშრომელი ხმის უფლების გარეშე მონაზილეობენ ასამბლეის, ექსპერტთა კომიტეტის, ასამბლეისა და ექსპერტთა კომიტეტის მიერ შექმნილი სხვა კომიტეტებისა და სხვა ისეთი კომიტეტებისა და მეშა აგუფების ყველა სხდომაში, რომელთა შექმნაც შეუძლია ასაბლეას ან ექსპერტთა კომიტეტს. გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული ნებისმიერი თანამშრომელი ex officio არის ამ ორგანოების მდივანი.

(3) (a) საერთაშორისო ბიურო ასამბლეის მითითითებით ასრულებს ამ შეთანხმების

დებულებების გადასასიჯად გამიზნული კონფერენციების მოსამზადებელ სამუშაოებს.

(b) საერთაშორისო ბიუროს, გადასინჯვის მიზნით ჩასატარებელი კონფერენციის მომზადებასთან დაქავშირებით, შეუძლია კონსულტაცია გაიაროს სამთავრობათაშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

(c) გენერალური დირექტორი და მის მიერ დანიშნული პირები ხმის უფლების გარეშე მონაწილეობენ ამ კონფერენციებზე გამართულ კამათში

(4) საერთაშორისო ბიურო ასრულებს მასზე დაკისრებულ ნებისმიერ სხვა დავალებას.

## მუხლი 9

### ფინანსები

(1) (a) სპეციალურ კავშირს გააჩნია ბიუჯეტი.

(b) სპეციალური კავშირის ბიუჯეტი შეიცავს საკუთრივ სპეციალური კავშირის შემოსავლებსა და ხარჯებს, მათ შენაგანებს ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული კავშირების საერთო ხარჯების ბიუჯეტი და აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში, კონფერენციის ბიუჯეტისთვის გამოყოფილ თანხას.

(c) ხარჯები, რომლებიც მიეწერება არა მხოლოდ სპეციალურ კავშირს, არამედ ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებულ ერთ ან მეტ სხვა კავშირისაც, განიხილება, როგორც კავშირების საერთო ხარჯები. საერთო ხარჯებში კავშირის წილი პროპორციულია იმ სარგებლისა, რომელიც კავშირს აქვს მასში.

(2) სპეციალური კავშირის ბიუჯეტი დგინდება ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სხვა კავშირების ბიუჯეტებთან კოორდინაციის მოთხოვნების სათანადო გათვალისწინებით.

(3) სპეციალური კავშირის ბიუჯეტის დაფინანსების წყაროებია:

(i) სპეციალური კავშირის ქვეყნების საწევრო შენატანები.

(ii) საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ სპეციალურ კავშირთან მიმართებაში გაწეულ მომსახურებათა საფასურები და გადასახადები;

(iii) საერთაშორისო ბიუროს მიერ სპეციალური კავშირის შესახებ გამოცემული პუბლიკაციების გაყიდვით შემოსული თანხები ან მათთან დაკავშირებული როიალტი.

(iv) შემორჩენილობები, ნაანცერძევი სახსრები და სუბსიდიები.

(v) რენტები, პროცენტებიდან მიღებული და სხვა სახის შემოსავლები.

(4) (a) სპეციალური კავშირის ყოველი ქვეყანა 3(i) ქვეპუნქტი მითითებული მისი საწევრო შენატანის დადგენის მიზნით განეკუთვნება იმავე კლასს, რომელსაც იგი ეკუთვნის სამრეწველო საკუთრების დაცვის ჰარიზის კავშირში და ამ კლასის შესაბამისი ერთეულების საფუძველზე იხდის კუთვნილ წლიურ საწევრო შენატანს ამ კავშირში მოცემული კლასისათვის დაფგენილი რაოდენობის მიხედვით.

(b) სპეციალური კავშირის თითოეული ქვეყნის წლიური შენატანის სიღიღე ისეთივე თანაფარდობაშია ყველა ქვეყნის მიერ სპეციალური კავშირის ბიუჯეტში შეტანილ საერთო თანხასთან, როგორც მისი წილობრივი ერთეულების სიღიღე ყველა ქვეყნის წილობრივი ერთეულების ჯამთან.

(c) საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველი წლის პირველი იანვრიდან.

(d) ქვეყანა, რომელსაც საწევრო დავალიანება აქვს, ვერ გამოიყენებს კენჭისყრაში

მონაწილეობის უფლებას სპეციალური კავშირის ნებისმიერ ორგანოში, თუ მისი დავალინების სიღიღე ტოლია ან აჭარბებს მისი ბოლო ორი სრული წლის საწევრო შენატანის სიღიღეს. ამასთან, სპეციალური კავშირის ნებისმიერ ორგანოს შეუძლია ნება დართოს ასეთ ქვეყანას, გააგრძელოს ხმის უფლებით სარგებლობა ამ ორგანოში, იმ შემთხვევაში და იმ დრომდე, ვიღრე დარწმუნებულია, რომ გადახდის დაგვიანება გამოწვეულია განსაჟუთოებული და გარდაუვალი გარემოებებით.

(e) იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი საფინანსო პერიოდის დაწყების წინ ბიუჯეტი არ არის მიღებული, იგი რჩება წინა წლის ბიუჯეტის დონეზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ფინანსური რეგლამენტით.

(5) საერთაშორისო ბიუროს მიერ სპეციალურ კავშირთან მიმართებაში გაწეული მომსახურების საფასურებსა და გადასახადების სიღიღეს ადგენს და ასაბლეას მოახსენებს გენერალური დირექტორი.

(6) (a) სპეციალურ კავშირის გააჩნია საბრუნავი სახსრების ფონდი, რომელიც იქმნება კავშირის თითოეული ქვეყნის ერთჯერადი გადასახადით. თუ ფონდი არასაკარისი ხდება, ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას მისი გაზრდის შესახებ.

(b) თითოეული ქვეყნის საწყისი გადასახადის სიღიღე ხსენებულ ფონდში ან მისი მონაწილეობა ამ ფონდის გაზრდაში პროპორციულია ამ ქვეყნის შენატანისა იმ წელს, როდესაც დაარსდა ფონდი ან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი გაზრდის შესახებ.

(c) პროპორციულობის კოეფიციენტი და გადახდის პირობები დგინდება ასამბლეის მიერ გენერალური დირექტორის წინადადების საფუძველზე მას შემდეგ, რაც ასამბლეა მოისმენს ორგანიზაციის საკომიტეტის კომიტეტის რჩევას.

(7) (a) შტაბ-ბინის შესახებ შეთანხმებაში, რომელიც დაცებულია ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზეც ორგანიზაციას აქვს თავისი შტაბ-ბინა, გათვალისწინებულია, რომ, თუ საბრუნავი სახსრების ფონდი არასაკარისია, ასეთი ქვეყანა გაიღებს სესხებს, ამ სესხების თანხა და გაცემის პირობები ყველა შემთხვევაში წარმოადგენს დამოუკიდებელი შეთანხმებების საგანს ასეთ ქვეყანასა და ორგანიზაციის შორის.

(b) ქვეყანას, რომელიც მითითებულია (a) ქვეპუნქტი, და ორგანიზაციის უფლება აქვთ წერილობითი შეტყობინებით მოახდინონ სესხის გაცემის ვალდებულების დენონსაცია. დენონსაცია ძალაში შედის სამი წლის შემდეგ იმ წლის გასვლიდან, როდესაც გაკეთდა შეტყობინება.

(8) ფინანსური აუდიტი ხორციელდება სპეციალური კავშირის ერთი ან მეტი წევრი ქვეყნის ან გარედან მოწვეული აუდიტორების მიერ, როგორც ამას ითვალისწინებს ფინანსური რეგლამენტი. აუდიტორებს მათი თანხმობით ნიშნავს ასამბლეა.

## მუხლი 10

### შეთანხმების გადასინჯვა

- (1) ეს შეთანხმება შეიძლება გადაისინჯოს დროდადრო ამ მიზნით მოწვეული სპეციალური კავშირის ქვეყნების საგანგებო კონფერენციის მიერ.
- (2) გადაწყვეტილებას გადასინჯვის მიზნით კონფერენციის მოწვევის შესახებ იღებს ასამბლეა.
- (3) 7 - 11 მუხლები შეიძლება შესწორდეს ამ მიზნით მოწვეული საგანგებო კონფერენციების მიერ ან მე-11 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

## მუხლი 11

### შეთანხმების ზოგიერთი დებულების შესწორება

- (1) წინადაცებები 7 - 11 მუხლებისა და ამ მუხლის შესწორების თაობაზე შეიძლება დაისვას სპეციალური კავშირის ნებისმიერი ქვეყნის ან გენერალური დირექტორის მიერ. ეს წინადაცებები გენერალური დირექტორის მიერ იგზავნება სპეციალური კავშირის წევრ ქვეყნებში ასამბლეაზე მათ განხილვამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე.
- (2) შესწორებები, რომლებიც მითითებულია (1) პუნქტი, მიიღება ასამბლეის მიერ. შესწორების მისალებად საჭიროა კუნძულების მონაწილეთა ხმების სამი მეოთხედი; თუმცა, მე-7 მუხლსა და ამ პუნქტი ნებისმიერი შესწორების მისალებად საჭიროა კუნძულების მონაწილეთა ხმების ოთხი მეხუთედი.
- (3) (a) ნებისმიერი შესწორება მუხლებში, რომლებიც მითითებულია (1) პუნქტი, ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ მას შემდეგ, რაც გენერალურ დირექტორის ჩაბარდება წერილობითი შეტყობინება შესწორებების მიღებისათვის კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების შესახებ იმ ქვეყნების რაოდენობის სამი მეოთხედისგან, რომლებიც ამ შესწორებების მიღების მომენტისთვის იყვნენ სპეციალური კავშირის წევრები.
- (b) ზემოხსენებულ მუხლებში ასეთი წესით მიღებული ნებისმიერი შესწორება სავალდებულოა ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც შესწორების ძალაში შესვლის თარიღისთვის უკვე არის სპეციალური კავშირის წევრი, იმ პირობით, რომ ნებისმიერი შესწორება, რომელიც იწვევს საფინანსო ვალდებულებების გაზრდას, სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც გაგზავნეს შეტყობინება ასეთი შესწორებების აღიარების შესახებ.
- (c) ნებისმიერი შესწორება, მიღებული (ა) ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, სავალდებულოა ყველა ქვეყნისთვის, რომელიც გახდა სპეციალური კავშირის წევრი იმ თარიღის შემდეგ, როდესაც შესწორებები შევიდა ძალაში (ა) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

## მუხლი 12

### შეთანხმების მხარედ გახდომა

- (1) სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მხარე ნებისმიერ ქვეყანას შეძლია გახდეს ამ შეთანხმების მხარე:
- (i) ხელმოწერით, რასაც მოსდევს რატიფიკაციის დოკუმენტის დეპონირება, ან
- (ii) მიერთების დოკუმენტის დეპონირებით.
- (2) რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირება ხდება გენერალურ დირექტორთან.
- (3) ამ შეთანხმების მიმართ გამოიყენება სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის სტოკოლმის აქტის 24-ე მუხლის ნორმები.
- (4) პუნქტი (3) არანაირად არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ის გულისხმობდეს სპეციალური კავშირის ქვეყნების მიერ იმ ტერიტორიისთვის დაკავშირებული ფაქტობრივი სიტუაციის აღიარებას ან მასზე უსიტყვო თანხმობას, რომელთა მიმართაც ეს შეთანხმება აღნიშნული პუნქტის გამო სხვა ქვეყნის მიერ გამოიყენება.

### მუხლი 13

#### შეთანხმების ძალაში შესვლა

- (1) პირველი ხუთი ქვეყნისთვის, რომელიც მოახდინეს რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირება, ეს შეთანხმება ძალაში შედის რატიფიკაციის ან მიერთების მებუთე დოკუმენტის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ
- (2) იმ ქვეყნებისაგან განსხვავებული ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელთა მიმართაც შეთანხმება ძალაში (1) პუნქტის შესაბამისად შევიდა, ეს შეთანხმება ძალაში შედის სამი თვის შემდეგ თარიღიდან, როდესაც გენერალური დირექტორის მიერ გავრცელდა შეტყობინება ამ ქვეყნის რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ, თუ რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტში უფრო გვიანი თარიღი არ იქნა მითითებული. უკანასკნელ შემთხვევაში ამ ქვეყნის მიმართ შეთანხმება ძალაში შედის ამგვარად მითითებული თარიღიდან.
- (3) რატიფიკაციას ან მიერთებას ავტომატურად მოსცევს ამ შეთანხმებით დადგენილი ყველა დებულების ცნობა და ყველა უპირატესობით სარგებლობა.

### მუხლი 14

#### შეთანხმების მოქმედების ვადა

ამ შეთანხმებას აქვს იგივე მოქმედების ვადა, რაც სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციისას.

### მუხლი 15

#### დენონსაცია

- (1) სპეციალური კავშირის ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია ამ აქტის დენონსაცია გენერალური დირექტორის სახელზე შეტყობინების გაგზავნით.
- (2) დენონსაცია ძალაში შედის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.
- (3) ამ მუხლით გათვალისწინებული დენონსაციის უფლება არ გამოიყენება არცერთი ქვეყნის მიერ, ვიდრე არ გავა ხუთი წელი თარიღიდან, როდესაც ის გახდა სპეციალური კავშირის ქვეყანა.

### მუხლი 16

#### დავები

- (1) ამ შეთანხმების ინტერიერული სამოყიფო თაობაზე ორ ან მეტ ქვეყანას შორის იმ დავასთან დაკავშირებული სარჩელი, რომელიც მოლაპარაკების გზით ვერ გადაწყდა, დაინტერესებული ქვეყნებიდან ნებისმიერს შეუძლია შეიტანოს საერთაშორისო სასამართლოში, სასამართლოს შესახებ სტატიის შესაბამისად მისი წარდგენის გზით, თუკი დაინტერესებული ქვეყნები არ შეთანხდნენ სხვა გზით საკითხებს მოგვარებაზე. ქვეყანა, რომელმაც შეიტანა სასამართლოში სარჩელი, ამის შესახებ აცნობებს საერთაშორისო ბიუროს; საერთაშორისო ბიურო აღნიშნული დავის შესახებ საქმის კურსში აყენებს სპეციალური კავშირის სხვა ქვეყნებს.
- (2) ყოველ ქვეყანას შეუძლია მის მიერ ამ შეთანხმებაზე ხელისმონერის, ან მისი რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტის დეპონირებისას განაცხადოს, რომ იგი არ მიიჩნევს თავს ვალდებულად, შეასრულოს (1) პუნქტის მოთხოვნები. ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც ასეთი განცხადების გააკეთა, და სპეციალური კავშირის სხვა ნებისმიერ ქვეყანას შორის რაიმე და-

ვის შემთხვევაში (1) პუნქტის დებულება არ გამოიყენება.

(3) ნებისმიერ ქვეყანას, რომელმაც გააკეთა განცხადება (2) პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს თავისი განცხადება გენერალურ დირექტორთან გაგზავნილი შეტყობინების საშუალებით.

## მუხლი 17

**ხელმოწერები, ენები, დეპოზიტარის ფუნქციები, შეტყობინებები**

(1) (a) ხელმოწერა ხორციელდება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე შესრულებული ამ შეთანხმების ერთ ორიგინალზე. ტექსტი ორივე ენაზე თანაბრად ავთენტიფიკირია.

(b) ეს შეთანხმება ლია ხელმოსაწერად 1973 წლის 31 დეკემბრამდე ვენაში.

(c) ხელმოსაწერად მისი დახურვის შემდეგ ამ შეთანხმების ორიგინალი დეპონირებისათვის გადაცემა გენერალურ დირექტორს.

(2) ამ შეთანხმების ოფიციალური ტექსტები სხვა ისეთ ენებზე, რომლებიც შეიძლება განსაზღვროს ასამბლეამ, დაინტერესებულ მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ დადგინდება გენერალური დირექტორის მიერ.

(3) (a) გენერალური დირექტორი შეთანხმების ხელმოწერილი ტექსტის მის მიერ დამონბებულ ორ ასლს გადასცემს სპეციალური ყავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას და, მოთხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას.

(b) გენერალური დირექტორი შეთანხმებაში შეტყობინების მის მიერ დამონბებულ ორ ასლს გადასცემს სპეციალური ყავშირის ყველა ქვეყნის მთავრობას და მოთხოვნის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა ქვეყნის მთავრობას.

(c) მოთხოვნის შემთხვევაში გენერალური დირექტორი გამოსახულებითი ელემენტების ყლასითიყვაციის მის მიერ დამონბებულ ორ ასლს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე აწვდის ნებისმიერი იმ ქვეყნის მთავრობას, რომელმაც ხელი მოაწერა, ან რომელიც მიუერთდა მას.

(4) გენერალური დირექტორი ამ შეთანხმებას არეგისტრირებს გაერთიანებული ერების სამდივნოში.

(5) გენერალური დირექტორი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მხარე ყველა ქვეყანას ატყობინებს:

(i) ამ მუხლის (1) პუნქტის მიხედვით ხელმოწერების შესახებ;

(ii) რატიფიკაციის ან მიერთების დოკუმენტების 12 (2) პუნქტის თანახმად დეპონირების შესახებ;

(iii) 13 (1) მუხლის თანახმად ძალაში შესვლის თარიღს;

(iv) 4 (5) მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადების შესახებ;

(v) 12 (3) მუხლის შესაბამისად გაკეთებული განცხადებისა და შეტყობინებების შესახებ;

(vi) 16 (2) მუხლის თანახმად გაკეთებული განცხადების შესახებ;

(vii) ადრინდელი განცხადების გამოტანის თაობაზე 16 (3) მუხლის მიხედვით გაგზავნილი შეტყობინების შესახებ;

(viii) შეთანხმების 11 (3) მუხლის თანახმად შესრულებები მიღების შესახებ;

(ix) ამ შესრულებების ძალაში შესვლის თარიღს;

(x) მე-15 მუხლის მიხედვით მიღებული დენონსაციის შესახებ.

## რეალისტური რომელი ენება ვენის პლასტიკაზე გამოყენებას

ვენის შეთანხმების მე-5 მუხლის თანახმად შექმნილმა ექსპერტთა კომისიამ 1987 წლის მაისის, 1992 წლის ივნისისადა 1996 წლის ოქტომბრის სესიებზე ვენის ხელშეკრულების წევრი ქვეყნებისთვის შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა შესაბამისად სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასა და რეგისტრაციის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებსა და გამოცემებში მათ მიერ სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაციის გამოყენება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

(a) კატეგორიებისა და განყოფილებების, განყოფილებებისა და სექციების შესაბამისი რიცხვები ერთმანეთისგან უნდა გამოიყონ წერტილით, ხოლო განსხვავებული სექციების შესაბამისი რიცხვები ერთმანეთისგან უნდა გამოიყონ მძიმით (მაგალითად: კატეგორია 3, განყოფილება 9, სექცია 10, 24 და 25 უნდა ჩაიწეროს შემდეგნაირად: CFE 3.9.10,24,25;\* გარდა ამისა, სექციების უწყვეტი მიმდევრობის აღსანიშნავად გამოიყენება ტირე (მაგალითად: კატეგორია 3, განყოფილება 9, სექციები 16-დან 18-მდე უნდა ჩაიწეროს შემდეგნაირად: CFE 3.3.9,16-18). კატეგორიებისა და განყოფილებების შესაბამისი რიცხვები წერტილით უნდა იქნენ გამოყოფილი იმ შემთხვევაშიც, თუ გამოსახულებითი ელემენტების აღწერაში არ ფიგურირებს სექციების შესაბამისი რიცხვები (მაგალითად: კატეგორია 3, განყოფილება 9, უნდა ჩაიწეროს შემდეგნაირად: CFE 3.9).

(b) თუ ერთი და იგივე რეგისტრაციის კლასიფიკაციისთვის საჭიროა რამდენიმე კატეგორიისა და განყოფილების მითითება, ყოველი ამ კატეგორიისა და განყოფილებისთვის კლასიფიკაცია ცალ-ცალკე უნდა იყოს მითითებული მათი შესაბამისი რიცხვების ზრდაზობის მიხედვით და ეს რიცხვები ერთმანეთისგან გამოყოფილი უნდა იყოს წერტილ-მძიმით (მაგალითად: CFE 1.1.2,10,25; 1.15.17;2.9.1 და ასე CFE 1.1; 1.15; 2.9, თუ სექციები არ ფიგურირებს კლასიფიკაციაში )

(c) კლასიფიკაციის იმ გამოცემის ნომერი, რომლის მიხედვითაც ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების კლასიფიკაცია შესრულდა, მითითებული უნდა იყოს მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული არაბული ციფრით, მაგალითად: CFE (6):

\* ექსპერტთა კომისიამ 1987 წლის მაისში ჩატარებულ სესიაზე განსაზღვრა, თუ ქვეყანა კლასიფიკაციის რიცხვების წინ დასართავად სრული დასახელების ("Classification of Figurative Elements") ნაცვლად აირჩივს ვენის შეთანხმების 4(4) მუხლში მოხსენიებული აბრევიატურის გამოყენებას, ეს აბრევიატურა უნდა იყოს "CFE."

---

**3060ს პლასიფიკაცია**



## სახელმძღვანელო მომხმარებლებისთვის

ვენის შეთანხმების 4(1) მუხლის თანახმად ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის (შემდგომში - „კლასიფიკაცია“) გამოყენების ფარგლებს ადგენს თითული წევრი ქვეყანა. მიუხედავად ამისა, ყველა შემთხვევაში მისი ძირითადი დანიშნულება არის წინასწარი ძიების გამარტივება. ძიება რომ ეფექტური იყოს, პირველ რიგში ორი აუცილებელი ოპერაცია უნდა შესრულდეს:

(i) იმ ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების სწორი და თანმიმდევრული კლასიფიკაცია (კოდირება), რომელიც ქმნიან საძიებო ფაილს შემდგომში წინასწარი ძიების მოთხოვნათა სათანადოდ გათვალისწინებით.

(ii) იმ სექციების სწორი განსაზღვრა, რომელთა მიხედვითაც უნდა აღინიშნოს საძიებო ნიშნები კოდირების სპეციფიკური მახასიათებლების სათანადოდ გათვალისწინებით.

ეს ორი ოპერაცია ურთიერთდამოკიდებულია და მათ შესრულებაზე ჰასუხისმგებლობა მინდობილი უნდა ჰქონდეს სასაქონლო ნიშნების სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე პირებს. გარდა ამისა, ამ პირებს, სხვა დანარჩენთან ერთად, უნდა შეეძლოთ სასაქონლო ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების შეფასება მათი განმასხვავებელი მახასიათებლების მიხედვით.

კლასიფიკაციის გამოყენების დაწყებამდე აუცილებელია მომხმარებელი გაეცნოს ვენის კლასიფიკაციის შესავალს (გვ.(v)-(viii)), ექსპერტთა კომისიის რეკომენდაციებსა (გვ.(xx)) და ზოგად შენიშვნებს (გვ.14).

კლასიფიკაციის გამოყენებისას მომხმარებელმა მյაცრად უნდა მისდიოს განმარტებით შენიშვნებსა და მათში მოცემულ მითითებებს.

კლასიფიკაცია შედგება სამი თავისგან :

(1) კატეგორიათა ცხრილი (გვ.2), რომელიც კლასიფიკაციაში შემავალ კატეგორიებში სწრაფი ორიენტირების საშუალებას იძლევა.

(2) კატეგორიებისა და განყოფილებების ცხრილი, განმარტებითი შენიშვნებით (გვ.3-11), რომელიც მოცემულ კატეგორიაში შემავალ განყოფილებათა მოკლე ჩამონათვალს იძლევა და შესაძლებელს ხდის განსახილველი გამოსახულებისათვის ყველაზე შესაფერისი განყოფილება დადგინდეს.

(3) კატეგორიების, განყოფილებისა და სექციების ჩამონათვალი განმარტებითი შენიშვნებით (გვ.14-99), რომელიც კატეგორიებთან, განყოფილებებსა და სექციებთან დაკავშირებით განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სრულ ინფორმაციასთან ერთად განსახილველი გამოსახულებითი ელემენტის კლასიფიკირების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

კატეგორიასთან მიბმული განმარტებითი შენიშვნები ეხება ამ კატეგორიაში შემავალ ყველა განყოფილებას, მაშინაც კი, როცა ისინი აღარ მეორცება.

განყოფილებები მათი შესაბამისი კატეგორიების მიხედვით არიან დალაგებული, ხოლო ყოველ განყოფილებას თან ახლავს შესაბამისი სექციები.

სექცია, რომლის რიცხვით კოდის წინ უძლევის ასო ”A”, ნარმოადგენ დამხმარე სექციას, რომელიც აჯგუფებს ძირითად სექციაში შემავალ გამოსახულებით ელემენტებს უფრო კონკრეტული კოდერიუმის მიხედვით. კოდირების დროს ასო ”A” გამოსახულებითი ელემენტისათვის კოდის მინიჭებისას არ უნდა შევიდეს.

კლასიფიკაციის ბოლოში 103-119გვ.-ზე მოცემულ გამოსახულებითი ელემენტების მაგალითები დართულია მხოლოდ საინფორმაციო დანიშნულებით და ამდენად, ისინი არ წარმოადგენ კლასიფიკაციის ერთ რომელიმე მთლიან ნაწილს.

## კატეგორიათა ცხრილი

- კატეგორია 1 ციური სხეულები, ბუნებრივი მოვლენები, გეოგრაფიული რეკები
- კატეგორია 2 ადამიანები
- კატეგორია 3 ცხოველები
- კატეგორია 4 ზებუნებრივი, ზოგადო, ფანტასტიკური ან ამოუცნობი არსებები.
- კატეგორია 5 მცენარეები
- კატეგორია 6 ლანდშაფტები
- კატეგორია 7 ნაგებობები, სარეკლამო კონსტრუქციები, ჭიშკრები ან ბარიერები
- კატეგორია 8 კვების პროცესები
- კატეგორია 9 ქსოვილი, ტანსაცმელი, საკერავი აქსესუარები, თავსაბურავი, ფეხსაცმელი თამბაქო, მწეველთა საკუთნო, ასანთი, სამგზავრო ნივთები, მარაოები, ტუ-
- კატეგორია 10 ალერგის საკუთნო
- კატეგორია 11 საოჯახო ნივთები
- კატეგორია 12 ავეჯი, სანიტარიული მოწყობილობები  
გასანათებელი აპარატებია, ელექტრონული ლამპები, გასათბობი, საჭმლის
- კატეგორია 13 მოსამზადებელი ან გასაყინი მოწყობილობები, სარეცხი მანქანები, საშრობი მოწყობილობები
- კატეგორია 14 რეინა-კავეული, ხელსაწყოები, მისადგმელი კიბეები
- კატეგორია 15 მანქანები, ძრავები, მექანიზმები  
სატელეკომუნიკაციო, ხმის ჩამწერი და ხმის აღმნარიმოებელი აპარატებია,
- კატეგორია 16 კომპიუტერები, ფოტოგრაფიის, კინემატოგრაფიის საკუთვნო, ოპტიკური ხელსაწყოები
- კატეგორია 17 ფრინის საზომი ხელსაწყოები, საიველირო ნაწარმი, ასაწონი და საზომი ხელსაწყოები
- კატეგორია 18 ტრანსპორტი, ცხოველთა აღკაზმულობა
- კატეგორია 19 ტარა და შეფერვა, შერეული ნაწარმის გამოსახულებანი  
საწერი, სახაზავი ან სახატავი მასალა, საოთვისე საკუთნო, საყანცელარიო და ბუკინისტის საკუთნო
- კატეგორია 20 თამაშები, სათამაშოები, სასპორტო საქონელი, კარუსელები
- კატეგორია 21 მესიუალური ისტრუმენტები და მათი აქსესუარები, მუსიკის აქსესუარები, ზა-  
რები, მხატვრობა, ქანდაკება
- კატეგორია 22 იარალი, საბრძოლო მასალა, აბჯარი
- კატეგორია 23 ჰერნალდიკა, მონეტები, ემბლემები, სიმბოლოები
- კატეგორია 24 ორნამენტული მოტივები, ორნამენტიანი ფონები ან ზედაპირები
- კატეგორია 25 გეომეტრიული ფიგურები და სხეულები
- კატეგორია 26 წერის ფორმები, ციფრები
- კატეგორია 27 სხვადასხვაგვარი შრიიფტით შესრულებული წარწერები
- კატეგორია 28 სხვადასხვაგვარი შრიიფტით შესრულებული წარწერები
- კატეგორია 29 ფერები

## კატეგორიებისა და განყოფილებების ცხრილი (განვითარებითი შენიშვნებით)

**კატეგორია 1.** ციური სხეულები, განებრივი მოვლენები, გოგრაფიალი რეაბი

1.1 ვალსავლავები, ცომებები

შენიშვნა: (ა) მათ შორის სამხედრო ჩინის აღმნიშვნელი ვარსკვლავები.  
(ბ) ამ კატეგორიაში არ შედის ნაპერწყლები (1.15.7), დავითის ვარსკვლავი (24.11.15) და პოლიგროფიაში გამოყენებული ვარსკვლავი – აღნიშვნა – “\*” (ასცერიკი) (24.17.3).

1.3 მზა

შენიშვნა: გარდა სხივების გარეშე მხოლოდ წრით გამოსახული მზისა, რომელიც მოთავსებულია 26.1 კატეგორიის სათანადო სექციაში.

1.5 დაფამირა, დადამინის სფეროები, პლანეტები

1.7 მთვარი

შენიშვნა: მათ შორის, მთვარე ერთ ან რამდენიმე ვარსკვლავთან ერთად.

1.11 თანავარსავლავები, ვალსავლავთა ჯგუფები, ვალსავლავისი და, ასტრონომიული სფეროები, ასტრონომიული რეაბი

1.13 არამარტინი სფერო (ძველი ასტრონომიული ხელსახყო), პლანეტარიელი (მზის სისტემის მოდელი), ასტრონომიული ორბიტები, ატომის მოდელები, მოლეკულის მოდელები

1.15 განებრივი მოვლენები

1.17 გოგრაფიული რეაბი, პლანეტური რეაბი (ასტრონომიული ხელსახყო ვალსავლავთა და თანავარსავლავების შესასწავლად)

შენიშვნა: გარდა ორი ნახევარსფეროს სახით გამოსახული მსოფლიო რეაბი (1.5.1).

**კატეგორია 2.** ადამიანები

შენიშვნა: (ა) წარწერები, რომელიც ქმნიან ადამიანის ფიგურას, შეტანილია 27.3.1 სექციაში.  
(ბ) ადამიანის თავები მოთავსებულია 2.1, 2.3, 2.5 ან 2.7 განყოფილებების სათანადო სექციებში და არა 2.9.25 სექციაში.

2.1 მამაკაცები

2.3 ქალები

2.5 ბავშვები

შენიშვნა: გარდა მოზარდებისა, რომელიც ყლასიფიცირებულია 2.1, 2.3 ან 2.7 განყოფილებებში.

2.7 შარიალი ჯგუფები, სცენები

- შენიშვნა: (ა) შერეული ჯგუფი გულისხმობს ჯგუფს, რომელიც შედგება მამაკაცების, ქალებისა და/ან ბავშვებისგან. ასეთი ჯგუფები მოთავსებულია 2.1, 2.3 ან 2.5 განყოფილების შესაფერის სექციაში.  
(ბ) მიუხედავად შემატებენობისა, თუ აღამიანთა ჯგუფი ქმნის სცენის შთაპეჭილებას, ივი კლასიფიცირებულია 2.7 განყოფილების სათანალო სექციაში.

2.9 ადამიანის სხეულის ნაწილები, ჩორჩები, თავის კალები

### ქატაგორია 3. ცხოველები

- შენიშვნა: (ა) ოთხფეხა და ოთხელიანთა ცხოველების თავები მოთავსებულია 3.1 – 3.5 განყოფილებების სათანალო სექციებში და არა 3.6.25 სექციაში.  
(ბ) წარწერები ან ტიპოგრაფიული ნიშნები, რომლებიც ქმინიან ცხოველის ფიგურას, კლასიფიცირებულია 27.3.3 სექციაში.

3.1 ოთხფეხა ცხოველები (I სარია)

3.2 ოთხფეხა ცხოველები (II სარია)

3.3 ოთხფეხა ცხოველები (III სარია)

3.4 ოთხფეხა ცხოველები (IV სარია)

3.5 ოთხფეხა ცხოველები (V სარია.) პრიმატები

3.6 ოთხფეხა ცხოველებისა და პრიმატების სხეულის ნაწილები, ჩორჩები, თავის კალები

3.7 ფრინველები, ფამურები

3.9 ფეფის ცხოველები, მორიკებები

- შენიშვნა: გარდა 3.7, 3.11 და 3.13 განყოფილებაში კლასიფიცირებული წყლის ცხოველებისა.

3.11 ქვერძოვლები, ამფიბიები, ლოკომიტორები, სალაპაბი, ზღვის ლომები

3.13 მერკები, ობობები, მიალომორგანიზმები

3.15 სხვა ცხოველები; პრაისტორიკული გიგანტური ცხოველები

- შენიშვნა: გარდა 4.3 და 4.7 განყოფილებებში კლასიფიცირებული ზოგადული ცხოველებისა.

3.17 ცხოველთა ჯგუფები, რომლებიც ალასიფიცირებულია მე-3 ქატაგორიის სხვადასხვა განყოფილებაში

### ქატაგორია 4. ზეგანვალი, ზღვარული, ფანტასტიკური ან ამონცონგი არსებები

- შენიშვნა: გარდა ასოების ან ციფრების კომპოზიციით განსახიერებული აფარისა და ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია 27.3 განყოფილების სათანალო სექციებში.

- 4.1 ფრთის ან რეზის არსებაზე  
4.2 ნახევრად ცხოველური ან ნახევრად ადამიანური არსებაზე  
4.3 ზღაპრული ცხოველები  
4.5 მცენარეები, საზოგადი ან გეომეტრიული ფიგურები, რომელთან განსახიერებული არსებობს; ნილგრადი, ფანტასტიკური ან ამონტნილი თავები  
4.7 მე-4 კატეგორიის სხვადასხვა განყოფილებები ალასიფიცირებული გამოსხიული განვითარებითი კლეიტონების აგუშავები
- ქატეგორია 5. მცენარეები**
- 5.1 ხეები, ბეჭედები  
5.3 ფოთლები, ფილები, ტოტები ფოთლებით ან ფილებით  
5.5 ყვავილები, ხახილის ყვავილები  
შენიშვნა: ჰერიტეიჯური ყვავილების ჩათვლით.  
5.7 მარცვლეული, თასლეული, ხილი  
5.9 ბოსტნეული  
5.11 სხვა მცენარეები  
5.13 მცენარეებისგან შექმნილი დაკონკრეტული
- ქატეგორია 6. ლანდშაფტები**
- 6.1 მთები, ალავები, გამოქვაბაულები.  
6.3 ლანდშაფტები ტბებით, მდინარეებით ან ნაჟაფებით  
შენიშვნა: გარდა დასახლებული ლანდშაფტებისა და სოფლის სცენებისა მდინარეებით ან ნაჟაფულებით, რომლებიც კლასიფირებულია (6.7.11) სუეფიაში.  
6.6 უდაბნოები ან ტროპიკული ტბების ლანდშაფტები  
6.7 დასახლებაული ლანდშაფტები ან სოფლის სცენები  
6.19 სხვა ლანდშაფტები
- ქატეგორია 7. ნაგებობები, სარეალურო კონსტრუქციები, ზიგურატები ან ბარიკადები**
- 7.1 საცხოვრებელი სახლები, შენობები, სარეალურო სტაციონები ან ბორბები, გალიები ან ცხოველთა სადგომები  
7.3 საცხოვრებელი სახლის ან შენობის ნაწილები; ინტერიერები  
7.5 ძაბლები, მოადნები, შალორებები  
7.11 კონსტრუქციები  
